



## შენიშვნები საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით

2011 წლის 19 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტის ინიცირება მოხდა. პროექტში ბევრი ცვლილებაა შესული, თუმცა, ძირითადი სიახლეები პოლიტიკურ პარტიებს შორის დადებულ შეთანხმებას უკავშირდება, სადაც განსაკუთრებული აქცენტი პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე კეთდება. საერთო ჯამში, აღნიშნული პროექტი არ შეიცავს არსებით ცვლილებებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით. პირიქით, ზოგ შემთხვევაში კოდექსის მუხლები კიდევ უფრო აუარესებს არსებულ მდგომარეობას ან ნორმათა ბუნდოვანება შეუძლებელს ხდის სხვადასხვა ფორმულირებების აღქმას.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს პროექტის შექმნის პროცესი. მიუხედავად განსაკუთრებულად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა საკითხის მიმართ და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის აქტიური ჩართულობისა მოლაპარაკებების პროცესში, კოდექსის პროექტის საბოლოო ვერსიის შექმნა დაფარულად და ყოველგვარი ჩართულობის გარეშე მოხდა, რაც ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოკლედ მიმოვიხილავთ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც საქართველოში საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებას ეხება. უხლოეს მომავალში კი პარლამენტს შევთავაზებთ აღნიშნული საკითხების ამსახველ კიდევ უფრო დეტალურ და სრულყოფილ ვერსიას.

### *არჩევნების გამჭვირვალობა და მონიტორინგი*

- საარჩევნო კოდექსის პროექტი აღარ ითვალისწინებს უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირთა შესაძლებლობას, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, აწარმოონ ფოტო და ვიდეო გადაღება;
- პროექტი აღარაფერს ამბობს ვიდეოთვალის თაობაზე, რაც ნიშნავს, რომ მათი განთავსება აღარ მოხდება კომისიებში;
- აღარ არსებობს ამომრჩეველთა მარკირების პროცედურა და არც არის შემოთავაზებული კონტროლის განხორციელების ალტერნატიული საშუალება.

მართალია, პრაქტიკაში არ ხდებოდა მარკირების პროცედურისა და ვიდეოთვალის ჩანაწერების ეფექტურად გამოყენება, თუმცა მათი გაუქმების ნაცვლად არსებული ნაკლოვანი პრაქტიკის დახვეწა, ან მარკირების შემთხვევაში, კონტროლის სხვა, უფრო ეფექტური საშუალებით ჩანაცვლება უნდა მომხდარიყო. ვიდეოთვალის ჩანაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საარჩევნო დავების განხილვისას, თუმცა მათი გამოყენება თითქმის არასდროს ხდებოდა პრაქტიკაში.

რაც შეეხება უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირების შესაძლებლობას, კანონის მოთხოვნათა დაცვით აწარმოონ ფოტო და ვიდეო-გადაღება, მისი დაბრუნება კანონმდებლობაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

### **საარჩევნო სიები**

- საქართველოს მოქმედ საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის თანახმად, საარჩევნო სიების ფორმირება უნდა მოახდინოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილმა კომისიამ, რომელშიც შედიან არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციური გაერთიანებების და ხელისუფლების წარმომადგენლები. პრინციპულად არასწორია საარჩევნო სიების დადგენის პასუხისმგებლობის დაკისრება არასამთავრობო ორგანიზაციების ან თუნდაც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის. საარჩევნო სიის ფორმირებაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს კონკრეტულმა სახელმწიფო ორგანომ, კერძოდ სამოქალაქო რეესტრმა, რომელსაც შესაბამისი რესურსი და გამოცდილება გააჩნია. კომისიას შესაძლოა გააჩნდეს მხოლოდ სიის მონიტორინგის ეფექტური ბერკეტები. მით უმეტეს, ბოლო წლების განმავლობაში მონაცემთა შეგროვებისა და განკარგვის კუთხით სამოქალაქო რეესტრი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სახელმწიფო უწყება და ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ამომრჩეველთა შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, მისი წვლილი ყველაზე დიდია.

პრინციპულად მცდარია სიების სისწორეზე პასუხისმგებლობის დაკისრება კომისიისათვის, მაშინ როდესაც სპეციალურად ამისთვის უფლებამოსილი და ამასთან უფრო მეტი რესურსითა და გამოცდილებით აღჭურვილი სახელმწიფო სტრუქტურები არსებობენ. ამასთან, კომისიის მანდატი და საქმიანობის წესი ბოლომდე ნათელი არ არის და დიდია იმის ალბათობა, რომ კომისიის მუშაობა არაეფექტური იქნება. მიგვაჩნია, რომ კომისია უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მონიტორინგის ფუნქციით და განსაკუთრებული დაშვება უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო ინფორმაციასთან. ხოლო საარჩევნო სიის ფორმირებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სამოქალაქო რეესტრს.

- ცვლილება შეეხება გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის შეყვანის საკითხებს. „გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა 3 პროცენტს“. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა მეტია 3 პროცენტზე, ან როდესაც კენჭისყრის დღემდე 2 დღეზე ნაკლებია, შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის შეყვანისას საუბნო საარჩევნო კომისია არ იკვლევს არავითარ ფაქტობრივ გარემოებას, არ ამოწმებს, რეალურად უშლის თუ არა ხელს ჯანმრთელობის მდგომარეობა ან

შეზღუდული შესაძლებლობა ამომრჩეველს უბანზე გამოცხადებაში და სხვა. ასეთ ვითარებაში, ყოველგვარ აზრს მოკლებულია 3%-ის ოდენობის ლიმიტის დაწესება. სრულიად არაეფექტური ჩანს სასამართლო პროცედურების შემოღება ამომრჩეველის გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანისათვის, როდესაც კენჭისყრის დღემდე 2 დღეზე ნაკლებია დარჩენილი, ასეთ ვითარებაში შეუძლებელი ხდება სასამართლოსათვის მიმართვა და შედარებით ხანგრძლივი პროცედურების დასრულება.

### **საარჩევნო სისტემა**

კოდექსის პროექტით, დეპუტატთა რაოდენობა 150-დან 190-მდე იზრდება. დაზუსტებას საჭიროებს ის, თუ სამართლებლივად როგორ მოახდენს პარლამენტი წევრთა რაოდენობის გაზრდას 190 დეპუტატამდე (83 მაჟორიტარული და 107 პროპორციული სისტემით). აღნიშნულის განხორციელება მხოლოდ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში არის შესაძლებელი, ვინაიდან „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი ცვლილება იქნება საქართველოს ორგანული კანონის დარღვევა.

ამასთან, აღნიშნული ინიციატივა ვერ აგვარებს პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია პარტიის მიერ მიღებული ხმებისა და მათ მიერ პარლამენტში მოპოვებული მანდატების ერთმანეთთან პროპორციულობასთან. გარდა ამისა, ეს ინიციატივა ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ხმის წონის თანაბრობის პრინციპს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის მაქსიმალური გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 15-20%-ს.

შემოთავაზებული პროექტი, ასევე, არ ითვალისწინებს თვითმმართველი ქალაქების მერების პირდაპირი წესით არჩევის საკითხს. სამწუხაროა, რომ 2009 წელს პრეზიდენტის მიერ გაეროში გაკეთებული განცხადების მიუხედავად, როდესაც მან განაცხადა, რომ ყველა ქალაქის მერი პირდაპირი წესით აირჩეოდა, კოდექსის პროექტი გვერდს უვლის ამ პრობლემას.

### **ადმინისტრაციული რესურსები**

- კოდექსის პროექტით იზრდება იმ თანამდებობის პირთა წრე, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ შეუზღუდავად მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში. კერძოდ, ამ ჩამონათვალს დაემატა სახელმწიფო რწმუნებული;
- კანონის მიზნებისთვის, „საარჩევნო აგიტაციის“ ცნების განმარტება აღარ არსებობს, რაც კიდევ უფრო მეტად ბუნდოვანს ხდის წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების წესებს;

ჩვენ უარყოფითად ვაფასებთ ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს, ვინაიდან იმ პირთა ნუსხის შემცირების ნაცვლად, რომლებსაც შეუზღუდავად შეუძლიათ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა, ამ პირთა წრე კიდევ უფრო გაფართოვდა. ეს ეწინააღმდეგება ყველა იმ

რეკომენდაციას, რასაც ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით აყენებდნენ.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების კუთხით კვლავაც პრობლემად რჩება არაერთი მშენებლოვანი საკითხი და ეს დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს, კერძოდ:

- მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს პარტიულ საქმიანობასა და ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებას შორის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში;
- უნდა გაიზარდოს იმ პირთა ნუსხა, ვისაც სრულიად აკმალული აქვს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. ამ მიზნით, არსებულ ნუსხას უნდა დაემატოს შემდეგი თანამდებობის პირები: მინისტრის მოადგილე; სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი და მისი მოადგილე; მუნიციპალიტეტის გამგებელი, თვითმმართველი ქალაქის მერი (გარდა თბილისის მერისა) და მერის მოადგილე; გამგეობის/მერიის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის (მერიის) რწმუნებული; საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე; საქართველოს სახალხო დამცველი;
- უნდა შეიზღუდოს ყველა სახის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას, გარდა შენობებისა;
- საარჩევნო სუბიექტებს და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილე ყველა სხვა პირს (მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის პირებს) უნდა აეკრძალოთ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებული ღონისძიების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენება (მათ შორის, ასეთი ღონისძიებების დროს აგიტაციის გაწევა, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით შეძენილი პროდუქტების საარჩევნო სუბიექტების მონაწილობით დარიგება და სხვა).

### **არჩევნების დაფინანსება**

• კანონპროექტი ითვალისწინებს ახალ ნორმას, რომლის თანახმადაც, საარჩევნო ადმინისტრაცია უფლებამოსილია საარჩევნო/სარეფერენდუმო პერიოდში არჩევნების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ამასთან წინასაარჩევნო/საარჩევნო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ცესკოს ან სატენდერო კომისიის ქმედების/გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს შესყიდვების პროცედურების შეჩერებას.

შემოთავაზებულ ფორმულირება მიუღებლად მიგვაჩნია. გამონაკლისის სახით ასეთი წესი შეიძლება გამართლებული იყოს ვადამდელი არჩევნების ჩატარებისას, როდესაც ადმინისტრაცია შეზღუდულ ვადებში ფუნქციონირებს. ეს არც საჭიროებს დამატებით საკანონმდებლო რეგულირებას, რადგან შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის ჩატარების შესაძლებლობას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი ისედაც ითვალისწინებს.

• კოდექსის პროექტი ითვალისწინებს საარჩევნო კამპანიის ფონდში საარჩევნო შემოწირულობების კანონით დაშვებული ლიმიტების გაორმაგებას. კერძოდ, დღეს დადგენილი ლიმიტი ფიზიკური პირისაგან შემოწირულობის მიღების უფლების თაობაზე 60 000 ლარი, ხოლო იურიდიული პირისგან - 200 000 ლარი ხდება.

გაუგებარია, რა გარემოებებმა განაპირობა მოქმედი ლიმიტების გაორმაგება. საკუთრივ ზედა ზღვრის არსებობას პოლიტიკური კორუფციის პრევენციის მნიშვნელობა აქვს და სიფრთხილეს საჭიროებს აღნიშნული ლიმიტის აწევით პარტიებისათვის მეტი თავისუფლების მინიჭება. საქართველო მაღალი შემოწირულებების თვალსაზრისით ისედაც ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა.

- კოდექსის პროექტის თანახმად, პარტიები, რომლებიც გადალახავენ 5%-იან საარჩევნო ბარიერს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებენ 1 000 000 ლარის ოდენობის კომპენსაციას წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარად.

მიგვაჩნია, რომ კომპენსაცია არ უნდა განისაზღვროს ერთიანი თანხის ოდენობით და პროპორციული უნდა იყოს პარტიის მიერ დახარჯული თანხების ოდენობისა, რომლის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

- პროექტის თანახმად, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თითო საუბნო საარჩევნო კომისიისთვის 50 ლარის, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიაში - 100 ლარის ოდენობით.

შესაძლებელია, საარჩევნო სუბიექტს საერთოდ არ ჰყავდეს არც ერთი წარმომადგენელი საარჩევნო კომისიებში. შესაბამისად, გაუგებარია, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღების გარეშე რატომ უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვა პოლიტიკური პარტიებისათვის. ამასთან, არ არსებობს თანხის დაბრუნების ვალდებულებაც იმ შემთხვევისათვის, თუ არ მოხდა მისი ათვისება სრულად.

- პროექტის თანახმად, შემოწირულების განხორციელება დაშვებულია ისეთი სამეწარმეო იურიდიულ პირისაგან, რომელშიც სახელმწიფო წილი 50 პროცენტზე ნაკლებია.

მოქმედი კოდექსით, საარჩევნო სუბიექტის კამპანიის ფონდში შემოწირულების განხორციელება ეკრძალება საქართველოს იმ სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელშიც არის სახელმწიფოს წილი, სახელმწიფო წილის მქონე საწარმოების მიერ პოლიტიკური პარტიებისათვის შემოწირულების განხორციელების შემთხვევაში იზრდება საფრთხე სახელმწიფო ფინანსების პარტიული მიზნებისთვის გამოყენებისა. მიგვაჩნია, რომ ასეთი დებულება კოდექსში არ უნდა არსებობდეს და ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელშიც სახელმწიფოს წილი არსებობს, უნდა ეკრძალებოდეს შემოწირულების განხორციელება.

პარტიათა დაფინანსების კუთხით, ასევე კოდექსის პროექტში არ არის გათვალისწინებული შემდეგი საკითხები, რომლებიც არაერთხელ აღინიშნა ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების (GRECO, OSCE/ODIHR, CoE) რეკომენდაციებში:

- ✓ სპეციალური დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოს შექმნა - რომლის ფუნქციაც იქნება პარტიების როგორც რეგულარული (ყოველწლიური), ისე საარჩევნო კამპანიის დაფინანსების კანონიერების საფუძვლიანი შემოწმება, ფინანსური ანგარიშგების უფრო დახვეწილი წესების შემუშავება, საჯაროობის უზრუნველყოფა და ა.შ.;

- ✓ პარტიის მიერ წარდგენილი სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდში მის მიერ გადარიცხული თანხების გამჭვირვალობა;
- ✓ ანგარიშების გამოქვეყნების პერიოდულობა - საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში არა მხოლოდ არჩევნების შემდეგ, წინასაარჩევნო პერიოდშიც რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს;
- ✓ არჩევნების წინა წელს და არჩევნების წელს სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ საწარმოებს სასურველია აეკრძალოთ შემოწირულებების გაღება, ხოლო პოლიტიკური პარტიის დამფინანსებელ საწარმოებს – არჩევნების წელს და არჩევნების მომდევნო წელს - სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა;
- ✓ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, რომ შემოწირულების ზედა ზღვარი მოიცავს პარტიის ანგარიშსა და მის მიერ წარდგენილ სუბიექტის ანგარიშზე შეტანილი თანხის ჯამს.

### **საარჩევნო ადმინისტრაცია**

- საარჩევნო კოდექსის პროექტის თანახმად, ცესკოს თავმჯდომარის და წევრების შერჩევა-დანიშვნის პროცედურები ნაკლებად გამჭვირვალე გახდა, კერძოდ, ინფორმაცია კანდიდატების პიროვნებისა და მათი გამოცდილების შესახებ აღარ წარმოადგენს სავალდებულოდ წარსადგენ დოკუმენტაციას.

აღნიშნული არასწორად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა ინფორმაცია, მათ შორის (ა) ყველა იმ კანდიდატის შესახებ, რომლებიც პრეზიდენტის ადმინისტრაციას თავიანთ კანდიდატურებს წარუდგენენ (მაგალითად, მათი სია და ბიოგრაფიები უნდა განთავსდეს პრეზიდენტის ვებგვერდზე), (ბ) იმ კომისიის წევრების შესახებ, რომლებიც, პრეზიდენტის დავალებით, ამ კანდიდატებს შორის საუკეთესოებს არჩევენ და (გ) იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა საფუძველზეც შეარჩევენ კომისიის წევრები ამ საუკეთესო კანდიდატებს.

- პროექტით მცირდება საარჩევნო კომისიის მიერ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებისას საჭირო ქვორუმი. აღნიშნულ ინიციატივას უარყოფითად ვაფასებთ, ვინაიდან, მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ მაღალი ნდობის უზრუნველყოფისთვის სასურველია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (კომისიების დაკომპლექტება, შემაჯამებელი ოქმების დამტკიცება, საჩივრების განხილვისას გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ.) მიიღებოდეს ხმათა 2/3-ით.

- საარჩევნო კოდექსის პროექტით იცვლება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება დამრღვევის საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შენობიდან გაძევების ნაწილში, თუ ის საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელია. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, თავმჯდომარე წესრიგის დამრღვევის გაძევების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად. შემუშავებული ცვლილებებით კი, იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელია, მისი გაძევების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისია ხმათა უმრავლესობით, როგორც კოლეგიური ორგანო. ჩვენი მოსაზრებით, უმჯობესი იქნება გადაწყვეტილების კოლეგიურად მიღების წესი დამკვიდრდეს არა მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის გაძევების, არამედ დამკვირვებლებისა და

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევაშიც.

### **საარჩევნო დავები**

- კანონპროექტით გასაჩივრების ალტერნატიული მექანიზმი შემოთავაზებულია იმ საჩივრებზე, რომელიც ეხება ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილ დარღვევებს. განცხადება/საჩივარის ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისია გადასცემს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში. განმცხადებელმა/მომჩივანმა განცხადება/საჩივარი იმავე ვადაში შეიძლება უშუალოდ გადასცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, ან შეიტანოს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში კენჭისყრის დღიდან 4 კალენდარული დღის ვადაში, რომელიც საჩივარს განიხილავს ამ კანონით დადგენილ წესით.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია. გაურკვეველია, როგორ მოხდება გასაჩივრების ვადის ათვლა კენჭისყრის დღიდან. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შემოთავაზებული პროექტით აღარ განიმარტება კენჭისყრის დღე. ამის საპირისპიროდ, მხარს ვუჭერთ კოდექსის დღეს მოქმედ რედაქციას და მიგვაჩნია, რომ საჩივრის ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენისას, ვადის ათვლა უნდა მოხდეს კონკრეტულ საათზე მითითებით.

- საარჩევნო კოდექსის პროექტით ახლებურად ყალიბდება საარჩევნო დარღვევების გასაჩივრების ზოგიერთი წესი და ვადა. ცვლილებას ექვემდებარება მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადა და წესი. ზემდგომი კომისიას ან სასამართლოსათვის მიმართვის ალტერნატივა არსებობს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, მაგრამ არა საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას. ასეთი ნაწილობრივი და არასისტემური ცვლილება კი, უფრო ართულებს მოქმედ საარჩევნო ნორმებს და ხელს უწყობს თითოეულ შემთხვევაში განსხვავებული სტანდარტისა და რეგულაციების არსებობას. გასაჩივრების ალტერნატივა უნდა არსებობდეს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაშიც.

- შემოთავაზებული პროექტით მხოლოდ ერთ შემთხვევაში ხდება არსებული ვადის გაზრდა საუბნოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საოლქოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებისას. კერძოდ, 2 კალენდარული დღის ვადა იზრდება 3 კალენდარულ დღემდე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვადების ძირითადი ნაწილი მოქმედ კოდექსში უცვლელად რჩება, კერძოდ, 20-დან 12 შემთხვევაში;

- ორ შემთხვევაში დღეს მოქმედი ვადები მცირდება, რაც უარყოფითად უნდა იქნას შეფასებული. ასეთი ნეგატიური ცვლილება შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც რაიონული/საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ ხდება საუბნოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საოლქოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმება და მასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვა. თუ დღეს მოქმედი კანონმდებლობით საჩივრის

განხილვისათვის 2 კალენდარული დღის ვადაა დადგენილი, ხდება მათი დაყვანა 1 კალენდარულ დღემდე, რაც არაგონივრულად მიგვაჩნია. სასამართლოები განხილვის 1 დღიანი ვადების მომიზეზებით დიდი ალბათობით უარს იტყვიან ისეთი შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, რომელიც შეეხება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ცესკოდან გამოთხოვას, აღნიშნულ მტკიცებულებათა გამოკვლევას და სხვა;

- უარყოფითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ შემოთავაზებული პროექტით შემცირებულია საარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში განცხადება/საჩივრის წარდგენის ვადები;

- უნდა გადაიხედოს შემოთავაზებული საარჩევნო კოდექსის პროექტის კოლიზიური ნაწილები, რომელიც ეხება საარჩევნო დავებსა და მოსარჩელეთა წრეს. 78-ე მუხლის 19 პუნქტი ამოღებული უნდა იქნეს.

ამის პარალელურად კვლავაც პრობლემად რჩება ისეთი საკითხები როგორცაა:

- **გასაჩივრების პროცედურების მარეგულირებელ ნორმების გამარტივება** - საარჩევნო კოდექსში გასაჩივრების პროცედურების ნორმათა ბუნდოვანება და ორაზროვნება საფუძველია კოდექსის ერთი და იგივე ნორმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა როგორც საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების, ისე საჩივრების ავტორთა მხრიდან;

- **საარჩევნო კომისიებში საჩივრის განხილვის ვადები** - მიგვაჩნია, რომ საჩივრის/სარჩელის განხილვის ვადები, როგორც საარჩევნო კომისიებში, ასევე სასამართლოებში არის მცირე და არასაკმარისი დავის ეფექტურად განხილვისა და გადაწყვეტისათვის;

- **გასაჩივრების ვადის ათვლა** - საარჩევნო დავებისათვის დადგენილი მცირე ვადების გათვალისწინების ფონზე, უარყოფითად აისახება გასაჩივრების ვადის ათვლა გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და არა მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან. გასაჩივრების ვადების ათვლა უნდა ხდებოდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის დღიდან, მაგრამ არა უგვიანეს გადაწყვეტილების მიღების/გამოტანის მომდევნო დღის 12 საათისა;

- **საჩივრის განმხილველ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა** - დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი, ზოგ შემთხვევაში, იძლევა საჩივრის ერთდროულად რამდენიმე ორგანოს წინაშე წარდგენის შესაძლებლობას. მიგვაჩნია, რომ თითოეულ შემთხვევაში ცალსახად უნდა იყოს დადგენილი ის ერთი ორგანო, რომელშიც შესაძლებელია შესაბამისი საჩივრის წარდგენა;

- **სახელმწიფო ბაჟი** - საარჩევნო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სარჩელებთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟი არის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება ამომრჩევლებისათვის, საარჩევნო სუბიექტებისათვის და დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის. საარჩევნო დავებთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟი უნდა გაუქმდეს, რაც გაზრდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას;

- **სანქციათა სისტემატიზაციის ხარვეზები** - საარჩევნო სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები საქართველოს კანონმდებლობაში არასისტემიურად არის მოცემული. სანქციათა ნაწილი მოცემულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ნაწილი გვხვდება თავად საარჩევნო



კოდექსში; შესაბამისად, სასურველია საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ყველა ზომამ გადაინაცვლოს საარჩევნო კოდექსში;

- **გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი უბნები** - საარჩევნო კოდექსმა უნდა დაადგინოს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმები, თუ რა შემთხვევაში უნდა შეიქმნას, ან არ შეიქმნას სპეციალური საარჩევნო უბნები, როდესაც ამომრჩეველთა ოდენობა სამხედრო ნაწილში, ან სამედიცინო დაწესებულებაში 50-ს აღემატება, რათა მისი შექმნის, ან არშექმნის თაობაზე გადაწყვეტილება არ იქცეს მანიპულაციის საბაზად;

- **სამხედრო ნაწილში შექმნილი საარჩევნო უბნები** - საქართველოს საარჩევნო კოდექსმა ცალსახად უნდა გაითვალისწინოს, რომ სპეციალური უბნები იქმნება მხოლოდ სამხედრო სამსახურში მყოფი იმ სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც სამსახურობრივი ვალდებულების გამო არ შეუძლიათ დატოვონ დისლოკაციის ადგილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული თავდაცვის, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული არასამხედრო მოქალაქეების, თუ პოლიციელების არჩევნებში მონაწილეობა სპეციალური უბნების მეშვეობით; რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეების მიერ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის მიღების საკითხს (ისევე, როგორც ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის საკითხი), მიგვაჩნია, რომ იგი დაკავშირებული უნდა იყოს ამომრჩეველის რეგისტრაციის მისამართთან. კერძოდ, მსგავსად სპეციალურ სიაში შეყვანილი სხვა პირებისა, სამხედრო მოსამსახურე არ უნდა სარგებლობდეს მაჟორიტარულ, ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უპირატესობით, როდესაც იგი იმყოფება იმ ოლქის ფარგლებს გარეთ, სადაც იგი არის დარეგისტრირებული.

- **სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მონაწილეობა არჩევნებში** - სასჯელადსრულების დაწესებულებათა თანამშრომლებზე უნდა გავრცელდეს იგივე წესი, რაც ჩვენი რეკომენდაციის შესაბამისად სამხედრო მოსამსახურეებზე გავრცელდება.

### ***პასუხისმგებლობის ზომები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო***

დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, საარჩევნო კოდექსს დაემატოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ცესკოს წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები, ასევე, ნათლად გაიწეროს მათი აღსრულების პროცედურა.

- საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა საქმიანობის უკეთესი მოწესრიგების მიზნით, უმჯობესია საარჩევნო მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქცევის ზოგადი წესების დადგენა, უშუალოდ ადმინისტრაციის წევრთათვის. ცესკომ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სფეროში ქცევის წესების დამტკიცება.

- იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დამრღვევი კომისიის წევრის განმორებით მონაწილეობა საარჩევნო კომისიაში, მიგვაჩნია: 1) ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მისდამი დაქვემდებარებულმა კომისიებმა უნდა აწარმოონ იმ კომისიის წევრების მონაცემთა ბაზა, რომელთა მიმართაც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ. ასევე პირისა, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან; 2)

ასევე, ყველა იმ საარჩევნო კომისიის წევრთა ნუსხა, რომელთაც შეეფარდათ დისციპლინური პასუხისმგებლობა მათ მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის.

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მეორედ დაკისრებისთანავე პირმა უნდა დაკარგოს უფლება დანიშნულ/არჩეულ იქნეს საარჩევნო ადმინისტრაციაში განმეორებით. საარჩევნო ადმინისტრაციაში მისი დანიშვნა/არჩევა ასევე უნდა აეკრძალოს შესაბამის პირებს. აღნიშნული ქმედების განხორციელებისათვის უნდა დაეკისროთ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამასთან, პირს დისციპლინური პასუხისმგებლობა გაქარწყლებულად უნდა ჩაეთვალოს მხოლოდ მაშინ, თუ ზედიზედ 2 საარჩევნო პერიოდის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ სამართალდარღვევას.

- დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრად კანონით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისი პირის დანიშვნის/არჩევის მიზნით, უმჯობესია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს გაუხანგრძლივდეთ უფლებამოსილების ვადა იმ შემთხვევაში, თუ მათ მიმართ შეტანილია საჩივარი და იმ დრომდე, სანამ არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილების ვადის ამ მიზნით გახანგრძლივება არ გამოიწვევს ანაზღაურების უფრო მეტი პერიოდისათვის მიცემასაც.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, წარმოდგენლ დოკუმენტში მოკლედ მიმოვიხილეთ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საქართველოში საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებას ეხება. მოგვიანებით პარლამენტს შევთავაზებთ აღნიშნული საკითხების ამსახველ კიდევ უფრო დეტალურ და სრულყოფილ ვერსიას.